თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №50

26 ოქტომბერი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

ქალაქ თეთრიწყაროში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების წერტილების სარგებლობის უფლებით ქირავნობის წესით გადაცემის თაობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე - 2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122 -ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე.

მუხლი 1.
ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება ქალაქ თეთრიწყაროში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების 323 ერთეული ბოძის წერტილის შპს ,,ჯორჯიან აირლინკისათვის“ 15 (თხუთმეტი) წლის ვადით პირდაპირი წესით, პირობებიანი სარგებლობის უფლებით, ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით, ქირავნობის წესით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში, (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე